



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუბანოვი ივანე (ივა) იაგორის ძე



ი. კუბანოვი

კუბანოვი ივანე (ივა) იაგორის ძე (დ. 21. IV. 1948, თბილისი), პლასტიკური ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988), სსრკ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982); სამედ. ბიოლ. აკად. ნამდვილი წევრი (1994).

1972 დაამთავრა თსსი. 1974-76 იყო ქ. მოსკოვის კლინიკური და ექსპერ. ქირურგ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კლინიკური ორდინატორი; 1976-79 - თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელი; 1979 - №7 საავადმყოფოს მიკროქირურგიის განყ-ბის გამგე, პარალელურად 1979-82 - ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ცენტრ. სამეცნ.-კვლ.

ლაბორატორიის (ცსკლ) ექსპერ. თანამშრომელი განყ-ბის ხელმძღვანელი; 1982-83 - ამავე ინ-ტის ტოპოგრ. ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის დოცენტი; 1984-87 - ცსკლ-ის მიკროქირურგიის ჯგუფის ხელმძღვანელი; 1987-93 - ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ტოპოგრ. ანატ. და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგე; 1992-99 ხელმძღვანელობდა №5 კლინ. საავადმყოფოს სისხლძარღვთა და მიკროქირურგ. განყ-ბას 1994-2005 - შპს „კარაპს მედლაინის“, ხოლო 2005-07 - შპს „ჯი, აი, ენ, ენ-ის“ კლინიკას; 2007- იდან არის „ესტა კუბანოვ კლინიკის“ დამფუძნებელი და პლასტიკური ქირურგი.

კ-ს სამეცნ. შრომები ეხება პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგ. აქტ. საკითხებს. 1998-იდან არის ქირურგ. საერთაშ. კოლეჯის (ICS - International College of Surgeons) ნამდვილი წევრი, საქართვე. ესთეტიკური, რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგ. საზ-ბის პრეზიდენტი (1999); 2006-იდან - პლასტიკური ქირურგიის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).
